

ქართული
ფილმები
GEORGIAN FILMS



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

რედაქტორები: მანანა სურაძე, ნათია კანთელაძე, ნენო ქავთარაძე
დიზაინი: ალექსი კახნიაშვილი
კორექტორი: ქეთევან კიკნაძე
თარჯიმანი: მაია გვითიძე
გარეკანზე: კადრი დეა კულუმბეგაშვილის ფილმიდან „დასაწყისი“

GNFC

ამ ნიშნით აღნიშნულია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
ფინანსური მხარდაჭერით გადაღებული ფილმები

Editors: Manana Suradze, Natia Kanteladze, Neno Kavtaradze
Design: Alex Kakhiashvili
Editing: Ketevan Kiknadze
Translator: Maia Gvithidze
Cover: Still from the film "Beginning" by Dea Kulumbegashvili

GNFC

Films financially supported by Georgian National Film Center
are marked with this symbol

ISBN 978-9941-8-3005-1

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები 05
FULL-LENGTH FEATURE FILMS

მოკლამეტრაჟიანი მხატვრული ფილმები 15
SHORT FEATURE FILMS

დოკუმენტური ფილმები 31
DOCUMENTARY FILMS

ანიმაციური ფილმები 47
ANIMATED FILMS

ფილმები წარმოების პროცესში 55
FILMS IN PRODUCTION

აღდგენილი მემკვიდრეობა 119
RESTORED HERITAGE



სრულმეტრაჟიანი
მხატვრული
ფილმები

FULL-LENGTH
FEATURE FILMS

დასაწყისი BEGINNING

120 წმ | 120 MIN.



სცენარის ავტორები: დეა კულუმბეგაშვილი, რატი ონელი
რეჟისორი: დეა კულუმბეგაშვილი
კო-პროდიუსერები: სტივენ დარტი და გაეტან რუსსო
ალმასრულებელი პროდიუსერი: კარლოს რეიგადას
კომპოზიტორი: ნიკოლას ჯაარ
ოპერატორი: არსენ ხაჩატურიანი
მსახიობები: ია სუხიტაშვილი, კახა კინჭურაშვილი, რატი ონელი, საბა გოგიჩაიშვილი
პროდიუსერები: რატი ონელი, ილან ამუილი, დავიდ ზერა, პოლ როზენბერგი

იანას – ახალგაზრდა დიასახლისს – მეუღლესთან უთანხმოება აქვს. იანა გადაწყვეტს, საკუთარი ინსტინქტის კარნახით იმოქმედოს, რის გამოც ის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება და გაუთვალისწინებელ მოვლენათა ჯაჭვს ტრაგედია მოჰყვება.

Screenplay: Dea Kulumbegashvili, Rati Oneli
Director: Dea Kulumbegashvili
Co Producers: Steven Dart, Gaytan Russo
Executive Producer: Carlos Reygadas
Composer: Nikolas Jaar
DOP: Arsen Khachaturian
Cast: Ia Sukhlishvili, Kakha Kintsurashvili, Rati Oneli, Saba Gogichaishvili
Producers: Rati Oneli, Ilan Amouya, Paul Rosenberg, David Zerat

Yana, a young housewife finds herself in the middle of a crisis with her husband. Yana's decision to follow her instincts takes her to a point of no return, triggering an unforeseen chain of events leading to tragedy.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



დეა კულუმბეგაშვილი

სწავლობს კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე კოლუმბიის უნივერსიტეტის ხელოვნების სკოლაში, გარდა ამისა, ნიუ-ორკის „ახალ სკოლაში“ სწავლობს მედიის თეორიას.

ფილმოგრაფია:

დასაწყისი (2020) | ლეთა (2016) |
უხილავი სივრცეები (2014)

DEA KULUMBEGASHVILI

Studies film directing at Columbia University School of the Arts and media at The New School in New York.

Filmography:

Beginning (2020) | Léthé (2016) |
Invisible Spaces (2014)

მეოთხე ბრაიტონი FOURTH BRIGHTON

100 60 2D | 100 MIN. 2D



სცენარის ავტორები: ბორის ფრუმინი, ლევან კოლუაშვილი
რეჟისორი: ლევან კოლუაშვილი
ოპერატორი: ფედონ პაპამიხაელი
მსახიობები: ლევან თედიაშვილი, გიორგი ტაბიძე, ნადია მიხალკოვა
პროდიუსერები: ლევან კოლუაშვილი, ირაკლი როდონაია, მიშელ მერკტი, სტეფან კიტანოვი, ოლენა ერშოვა

წარმოება: კინო იბერეკა

თანაწარმოება: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, არტ ფესტი(ბულგარეთი), მოსკვიჩი (რუსეთი), არგონავტს პროდაქშენი (საბერძნეთი); კა-ენ-ემი (მონაკო)

კახი, 68 წლის ყოფილი მოჭიდავე, ნიუ-იორკში მიემგზავრება, რომ თავისი შვილი კარტში წაგებული ვალისგან იხსნას.

Screenplay: Boris Frumin, Levan Koguashvili

Director: Levan Koguashvili

DOP: Phedon Papamichael

Cast: Levan Tediashvili, Giorgi Tabidze, Nadya Mikhalkova

Producers: Levan Koguashvili, Irakli Rodonaia, Olena Yershova, Stefan Kitanov, Michele Merkt

Production: Kino Iberica (Georgia)

Co-Production: Georgian Public Broadcaster, Art Fest (Bulgaria), Moskvich (Russia), Argonauts Production (Greece), KNM (Monaco)

Kakhi, a 65-year-old Georgian ex-wrestler travels all the way to Brooklyn, New York, to help his son Soso get out from under a gambling debt. Kakhi is a man of honor and expects his son to live by the same code.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



ლევან კოღუაშვილი

დაიბადა 1973 წელს თბილისში. 1992-94 წლებში მუშაობდა დამოუკიდებელ ტელეკომპანია „იბერვიზიაში“ ჟურნალისტად და რეჟისორად. 1994-1999 წლებში სწავლობდა რუსეთის სახელმწიფო კინოინსტიტუტში (ВГИК), მარლენ ხუციევის სახელოსნოში. 2002-2006 წლებში სწავლობდა კინორეჟისურას და კინოწარმოებას ნიუ-იორკის უნივერსიტეტის თიშის ხელოვნების სკოლის მაგისტრატურაში.

ფილმოგრაფია:

მეოთხე ბრაიტონი (2020) | გოგიტას ახალი ცხოვრება (2016) | შემთხვევითი პაემნები (2013) | ქუჩის დღეები (2010) | ქალები საქართველოდან (2008) | პატარა თეატრი ვაშინტონში (2005) | სახლი (2005) | ვალი (2004) | მამა და შვილი (2003) | გამოსწორება (2002)

LEVAN KOGUASHVILI

Born in 1973 in Tbilisi. 1992-94 Worked at an independent TV Channel „Ibervizia“ as a journalist and a director. 1994-1999 Studied at the Russian State University of Film, Marlen Khutsiev's Studio. 2002-2006 Studied for his masters at New York TISCH school of Arts.

Filmography:

Fourth Brighton (2020) | Gogita's New Life (2016) | Blind Dates (2013) | Street Days (2010) | Women From Georgia (2008) | Small Theatre in Washington (2005) | Home (2005) | Apple (2004) | Father and Son (2003) | Improvement (2002)

ქარმა დაუბარა – ქალმა თავის აბრეშუმის
ყალსახვევზე გაიფიქრა
WIND HAS BLOWN – A WOMAN HAD
A THOUGHT ABOUT HER SILK SCARF

150 60 | 150 MIN.



სცენარის ავტორი და რეჟისორი:
ალექსანდრე კობერიძე
ოპერატორი: ფარაზ ფეშარაკი
მსახიობები: გიორგი
ბოჭორიშვილი, ანა ქარსელაძე,
ოლიკო ბარბაქაძე, გიორგი
ამბროლაძე, ვახტანგ ფანჩულაძე
პროდიუსერები: მარიამ შატბერაშვილი


წარმოება: German Film and TV
Academy Berlin,
www.dffb.de,
+ 49 15738260399,
Sakdoc Film, www.sakdoc.ge,
+ 995 9322932444,
info@sakdoc.ge,
New Matter Films,
+ 49 15738260399
mariam.shatber@gmail.com.

ლიზა და გიორგის ერთმანეთი
უყვარდებათ, მეორე დღეს
ორივე სახეცვლილი იღვიძებს.
რომანტიკული ტრაგიკომედია
ჯადოსნური ელემენტებით,
რომელშიც კინო გადაწყვეტ როლს
თამაშობს.

Screenplay: Alexandre Koberidze
Director: Alexandre Koberidze
DOP: Faraz Fesharaki
Cast: Giorgi Bochorishvili, Ana
Karseladze, Oliko Barbakadze,
Giorgi Ambroladze, Vakhtang
Panchulidze
Producers: Mariam Shatberashvili
Production: German Film- and
TV Academy Berlin, www.dffb.de,
+ 49 15738260399; Sakdoc Film,
www.sakdoc.ge,
+ 995 9322932444,
info@sakdoc.ge;
New Matter Films,
+ 49 15738260399
mariam.shatber@gmail.com

Lisa and Giorgi fall in love with
each other, both waking up the
next day to find themselves
transformed. The film Wind Has
Blown, A Woman Had a Thought
about Her Silk Scarf is a romance
and tragicomedy with elements
of magic, in which cinema plays a
crucial role.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



ალექსანდრე კობერიძე

დაიბადა 1984 წელს. 2006 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, ტელევიზიისა და კინოს მენეჯერის/პროდიუსერის სპეციალობით. 2009 წლიდან სწავლობს ბერლინის კინოაკადემიის კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე.

ფილმოგრაფია:

ქარმა დაუბერა – ქალმა თავის აბრეშუმის ყელსახვევზე გაიფიქრა (2020) | ნეტავ აღარასდროს მოვიდეს ზაფხული (2017) | Colophon (2015) | Looking Back is Grace (2014)

ALEXANDRE KOBERIDZE

Born in 1984. In 2006, Alexandre Koberidze graduated from the Shota Rustaveli State University of Theatre and Film with a degree in Television & Film Manager & Producer. Since 2009 he has been studying at Berlin Film Academy, Faculty of Film Directing.

Filmography:

Wind Has Blown, A Woman Had a Thought about Her Silk Scarf (2020) | Let the Summer Never Come Again (2017) | Colophon (2015) | Looking Back Is Grace (2014)

წვიმა ორ ნაპირზე RAIN ON TWO SIDES

81 წმ | 81 MIN.



სცენარის ავტორი: ზაზა ხალვაში
რეჟისორი: ზაზა ხალვაში
ოპერატორი: გიორგი შველიძე
მსახიობები: ნიკა ზოიძე, ანკა ელისეენკო
პროდიუსერი: სულხან თურმანიძე
თანაპროდიუსერი: ევა ნორვილიენე (ლიეტუვა)
წარმოება: ბათუმის საავტორო ფილმების დამოუკიდებელი სტუდია (+995) 595961800; sulkhan.turmanidze@gmail.com
UAB TREMORA; +370 (5)2497578; ieva@tremora.com

Screenplay: Zaza Khalvashi
Director: Zaza Khalvashi
DOP: Giorgi Shvelidze
Cast: Nika Zoidze, Anka Eliseenko
Producer: Sulkhan Turmanidze
Co-producer: Eva Norvilene (Lithuania)
Production: Batumi Art-House
Film Independent Studio
Tel.: (+995)595961800;
sulkhan.turmanidze@gmail.com;
UAB TREMORA
Tel.: +370 (5)2497578;
E-mail: ieva@tremora.com

მოვლენების ცენტრში სიყვარულის ამბავია – ზურიკოს ლტოლვა აიჰანისადმი; აიჰანი თავის მხრივ ქალური დამოუკიდებლობის ძიებაშია; იმედგაცრუებული მარლენი მუსიკაში იძირება უფრო ღრმად; ქავთარა დეტექტივობანას თამაშს ვერ ეშვება; ციხიდან გამოსული გაგა ისევ ძველ გზას ადგება; ტანიას მკერდი მოსვენებას არ აძლევს კარლოს, ხოლო კარლოს ოჯახს მოსვენებას არ აძლევს კარლო. და ასე შემდეგ... გრძელდება ლოტო! ამ ამბებს და პერსონაჟებს ყველას აუზღუნელი სიყვარულისკენ სწრაფვა აერთიანებს. ყველას უნდა სიყვარული და ის ყოველთვის ცოტაა.

Events in the film are unfolding around a love story – Zuriko is in love with Ayhan. Ayhan, for her part, is in search of independent life as a woman. Frustrated Marlene becomes more and more engrossed in music; Kavtara cannot give up playing detective; Gaga, who has just got out of jail, goes down the same path again; Karlo is obsessed with thoughts of Tania's breast and Karlo's family can't stop thinking and worrying about Karlo... and the stories go on! What these stories and characters of the film have in common is the pursuit of love. Love is something to which everyone aspires and, above all, it is something that is never enough.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



ზაზა ხალვაში

დაიბადა 1957 წელს. 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1982 წელს დაამთავრა თბილისის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი (თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის სახელოსნო).

ფილმოგრაფია:

წვიმა ორ ნაპირზე (2020) | ნამე (2017) | სოლომონი (2015) | მიზე-რერე (1996) | იქ, ჩემთან (1985) | დრო (1981)

ZAZA KHALVASHI

Born in 1957. In 1979 he graduated from the Tbilisi State University, Faculty of Psychology, and in 1982 – from the Georgian Institute of Theater and Film, Faculty of Film Directing (Studio of Tengiz Abuladze and Rezo Chkhaidze).

Filmography:

Rain on Two Sides (2020) | Namme (2017) | Solomon (2015) | Miserere (1996) | There, Where I Live... (1990) | Echo (1985) | Time (1981)



მოკლემეტრაჟიანი
მხატვრული
ფილმები

SHORT
FEATURE FILMS



სცენარის ავტორი და რეჟისორი: გვანცა მეფარიშვილი
ოპერატორი: ეკატერინა სმოლინა
პროდიუსერები: სულიკო წულუკიძე, გვანცა მეფარიშვილი
წარმოება: მილიმეტრ ფილმი (საქართველო)

Screenplay: Gvantsa Meparishvili
Director: Gvantsa Meparishvili
DOP: Ekaterina Smolina
Producers: Suliko Tsulukidze, Gvantsa Meparishvili
Production: Millimeter Film (Georgia)

მოსწავლეების წრეთნისას სათბილამურო სპორტსკოლის ტრენერი ნიკა 15 წლის ანასთან ერთად ზედა ტრასაზე იპარება. დაშვებისას გოგონა კარგავს კოორდინაციას, მთიდან ვარდება და კვდება. იწყება ანას ძიება. ნიკას ისე უჭირავს თავი, თითქოს გოგონა უბრალოდ თვალთახედვიდან გამოეპარა და ცდილობს პოლიციელს გზა აუბნოს.

While coaching some young people, Nika (30), a ski instructor, goes uphill with 15-year-old Ana, to be alone with her there, without anyone noticing them. While skiing downhill, the girl loses balance, falls off the mountain and dies. The search for Anna begins. Nika pretends as if he has only just noticed that the girl has disappeared and tries to mislead the police officers who are searching for the girl.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



გვანცა მეფარიშვილი

დაიბადა 1980 წელს. 2003 წელს დაამთავრა თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოჟურნალისტიკის ფაკულტეტი, 2005 წელს - ტელერეჟისურის ფაკულტეტი. 2016-19 წლებში სწავლობდა დიმიტრი მამულიას ექსპერიმენტულ კინოსახელსნოში.

ფილმოგრაფია:
ნომერი 26 (2020)

GVANTSA MEPARISHVILI

Gvantsa Meparishvili was born on 26 May, 1980. In 2003 she graduated from Tbilisi State University of Theatre and Film with a degree in Cinema Journalism. In 2005 she was awarded a degree in Television Directing. In 2016-2019 she took a course at Dimitri Mamulia's Experimental Film Production Studio.

Filmography:
Number 26 (2020)



სცენარის ავტორი: სალომე ლაცაბიძე, გიორგი კეკელია, თამარ ჯგელია
რეჟისორი: სალომე ლაცაბიძე
ოპერატორი: სანდრო ხუციშვილი
მსახიობები: ანანო მახარაძე, ნინო ქორიძე, მარიამ როინიშვილი
პროდიუსერი: ნატო სიხარულიძე
წარმოება: ტერა ინკოგნიტა ფილმსი, 0112 თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 2, www.tif.ge, +995 593 980 010
info@tif.ge,
nato.sikharulidze@tif.ge

ახალგაზრდა ქალი 6 წლის შვილთან ერთად დედის სანაზავად ძველ სასტუმროში ჩადის, თუმცა შეხვედრას არ ჩქარობს. დღის ბოლოს სამი თაობა ერთმანეთს ხვდება, მაგრამ მათი შეხვედრა მარტივად არ ჩაივლის.

Screenplay: Salome Latsabidze, Giorgi Kekelia, Tamar Jelia
Director: Salome Latsabidze
DOP: Sandro Khutsishvili
Cast: Anano Makharadze, Nino Koridze, Mariam Roinishvili
Producer: Nato Sikharulidze
Production: Terra Incognita Films (Georgia), # 2 Akaki Tsereteli Avenue, 0112; www.tif.ge, +995 593 980 010 info@tif.ge, nato.sikharulidze@tif.ge

Young woman, with her 6-year-old child sets off to visit her mother in a sanatorium, where she is staying; though the young woman doesn't seem to be looking forward to the reunion. At last the three generations come together, but not everything is smooth or plain..

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



სალომე ლაცაბიძე

დაიბადა 1988 წელს. 2013-2014 წლებში სწავლობდა თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში. 2017-2019 წლებში სწავლობდა კავკასიის ახალი კინოს სკოლაში.

ფილმოგრაფია:

აუზი (2020) | იპოდრომი (2018) | მეტრო (2018)

SALOME LATSABIDZE

Salome Latsabidze was born in 1988. In 2013-2014 studied at Tbilisi Center of Contemporary Art. In 2017 – 2019 she studied at the Caucasus School of New Cinema.

Filmography:

Pool (2020) | The Hippodrome (2018) | The Underground (2018).

მიკრორაიონი MICRODISTRICT

40 60 | 40 MIN.



სცენარის ავტორი და რეჟისორი:

გიორგი ჩალაური

ოპერატორი: ომარ გელაშვილი

მსახიობები: ჯამბაკურ ბაქრაძე, მარინა წიგწივაძე, ბაადურ კარდანი-
ნახიშვილი

პროდიუსერი: თომა ბეგიაშვილი, სულიკო წულუკიძე, ლაშა ხალვაში
თანაპროდიუსერები: ნოდარ ნოზაძე, გიორგი კობალია

წარმოება: პანსიონატი, 0160

თბილისი, გოთუას ქუჩა 16,
+995 599298216

pansionatfilm@gmail.com

Screenplay: Giorgi Chalauri

Director: Giorgi Chalauri

DOP: Omar Gelashvili

Cast: Jambakur Bakradze, Marina Tsivtsivadze, Baadur Kardanakhishvili

Producers: Toma Begiashvili, Suliko Tsulukidze, Lasha Khalvashi

Co-producers: Nodar Nozadze, Giorgi Kobalia

Production: Pansionati, Address: #16 Gotua st., 0160 Tbilisi,

Tel.: +995 599298216

E-mail: pansionatfilm@gmail.com

მიკრორაიონი – სსრკ მე-7

მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ზურაბს 90-იანი წლების დასაწყისში ექიმებმა სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს. თუმცა კომაში მყოფი მოზუცის ორგანიზმი მედიცინის კანონების საწინააღმდეგოდ აგრძელებს სტაბილურ ფუნქციონირებას. მისი შვილი, პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, ქალბატონი მანანა ყველა ღონეს ხმარობს საკუთარი მამის გადასარჩენად, თუმცა თვითონ ნერვული სტრესის და ფობიების გამო ავადმყოფს ვერ უახლოვდება. მისი მოვლა წლების მანძილზე 25 წლის შვილიშვილს – ავტოს – უწევს. ავტო მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ავადმყოფის გვერდითაა.

Micro district – Zurab, the former director of the USSR 7th Metallurgical Plant, was diagnosed with a terminal disease by doctors in the early 1990s. However, the body of an elderly person, who is in a coma, continues to function stably against the laws of medicine. His daughter Manana, an art critic by profession, spares no effort to make her father stay alive, though she herself is unable to approach him due to her stress and phobias. The elderly man's 25 year-old grandson – Avto – has had to look after his grandfather 22for years. Avto has been by the side of the patient throughout his conscious life.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



გიორგი ჩალაური

დაიბადა 1982 წელს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინოსარეჟისორო ფაკულტეტი.

ფილმოგრაფია:

ორმო (წარმ.) | მიკრორაიონი (2020) | სარეცხი (2004)

GIORGI CHALAURI

Born in 1982. He graduated from the Ivane Javakhishvili Tbilisi State University with a degree in Film and Television Directing.

Filmography:

Pit (in prod.) | Microdistrict (2020) | Washing (2004)

მცხუნვარა მზა

BURNING SUN

15 გთ | 15 MIN.




სცენარის ავტორი და რეჟისორი: ნუცა წიქარიძე
ოპერატორი: ირაკლი მეტრეველი
მსახიობები: დავითო გიგაური, ანასტასია ივანოვა-ლაზარევა, ანდრია ნადარეიშვილი, ლერი სალამაშვილი
პროდიუსერი: გიორგი ქობალია
წარმოება: ტერა ინკოგნიტა ფილმსი, 0112 თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 2, www.tif.ge, +995 557962188 info@tif.ge, giorgi.kobalia@tif.ge

Screenplay: Nutsa Tsikaradze
Director: Nutsa Tsikaradze
DOP: Irakli Metreveli
Cast: Davito Gigauri, Anastasia Ivanova-Lazareva, Andria Nadareishvili, Leri Salamashvili
Producer: Giorgi Kobalia
Production: Terra Incognita Films (Georgia), # 2 Akaki Tsereteli Avenue, 0112; www.tif.ge, +995 557962188 info@tif.ge, giorgi.kobalia@tif.ge

აგვისტოს ცხელ დღეს ნიკო, ნია, ლევანო და ლერი სოფლიდან მდინარეზე საბანაოდ იპარებიან. მდინარის პირას მკვდარი კაცის გვამს პოულობენ. ბავშვებს კაცი მთვრალი ჰგონიათ და მის გამოფხიზლებას ცდილობენ. ნიკოს თაოსნობით, ბავშვები კაცს გამოსაფხიზლებლად მდინარეში აგდებენ. გვამი მდინარეს მიაქვს. შეშინებული ბავშვები მდინარის კალაპოტს მიუყვებიან და მის ამოყვანას ცდილობენ.

On a hot August day, Niko, Nia, Levanko and Leri secretly go to the river near their village to have a swim. They come across the body of a dead man by the river. The children think the man is drunk and try to wake him up. Led by Niko, children throw the body of the man into the river to wake him up. The body of the dead man starts drifting downstream. Children are scared to death and they follow the riverbed trying to pull the body out of the river.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



ნუცა წიქარიძე

დაიბადა 1986 წელს. 2008 წელს დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი. 2013 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თიანეთისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოდრამატურგიის ფაკულტეტი, კოტე ჯანდიერის სახელოსნო.

ფილმოგრაფია:

მცხუნვარე მზე (2020)

NUTSA TSIKARIDZE

Born in 1986. In 2008 she graduated from Ilia State University with a degree in Philosophy and Social Sciences. In 2013 she graduated from Shota Rustaveli State University of Theatre and Film with a degree in Film Dramaturgy (Kote Jandieri Studio).

Filmography:

Burning Sun (2020)

სამსალა SAMSALA

25 60 HD | 25 MIN. HD



სცენარის ავტორი და რეჟისორი: გიორგი მუხაძე

ოპერატორი: დიტო დეკანოსიძე
მსახიობები: გიორგი წერეთელი, ნატალია გაბისონია, მალხაზ აბულაძე

პროდიუსერი: ნატო სიხარულიძე

წარმოება: ტერა ინკოგნიტა ფილმსი, 0112 თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 2,
www.tif.ge

+995 593 980 010, info@tif.ge,
nato.sikharulidze@tif.ge

Screenplay: Giorgi Mukhadze

Director: Giorgi Mukhadze

DOP: Dito Dekanosidze

Cast: Giorgi Tsereteli, Natalia Gabisonia, Malkhaz Abuladze

Producer: Nato Sikharulidze

Production: Terra Incognita Films (Georgia), Address: # 2 Akaki Tsereteli Avenue, 0112;

www.tif.ge

Tel: +995 593 980 010,

E-mail: info@tif.ge,
nato.sikharulidze@tif.ge

ანდრო და ელენე მაღალმთიან სოფელში, ელენეს მამის სახლში დასასვენებლად მიდიან. სოფელში ჩასვლიდან მეორე დღესვე ჩნდებიან ახალი პერსონაჟები, რომლებიც ანდროს და ელენეს განმარტოების საშუალებას არ აძლევენ. მათი ურთიერთობისთვის ეს ზაფხული საბედისწერო აღმოჩნდება.

Andro and Elene go to a highland village to stay in a house belonging to Elene's father. The next day after they arrive in the village, some people start intruding into their life and would never let Andro and Helen be alone. This summer turns out to be fateful for their relationship.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



გიორგი მუხაძე

დაიბადა 1992 წელს. 2016 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მხატვრული კინოს რეჟისურის სპეციალობით.

ფილმოგრაფია:

სამსალა (2020) | შაბათი (2016)
| ანას მოლოდინში (2016) |
რადიოაქტივობა (2014) | სახლი
(2012) | როგორც ოთარს უყვარდა
(2011)

GIORGI MUKHADZE

Giorgi Mukhadze was born in 1992. In 2016 he graduated from Shota Rustaveli State University of Theatre and Film with a degree in Film Directing.

Filmography:

Samsala (2020) | Saturday
(2016) | Waiting for Ana (2016)
| Radioactivity (2014) | House
(2012) | As Otar Liked It (2011)

სასტუმრო მირაჟი MIRAGE HOTEL

33 წთ HD | 33 MIN. HD



სცენარის ავტორი და რეჟისორი: გურამ ბაქრაძე
ოპერატორი: დიმიტრი (დიტო) დეკანოსიძე
მსახიობები: გიორგი კვინტრაძე, ნატალია ჯუღელი, იოსებ გვასალია, გენადი სამსონენკო
პროდიუსერი: ანი კაშია
წარმოება: ვიდეოდრომი (საქართველო) videodrome.ge
contact@videodrome.ge

Screenplay: Guram Bakradze
Director: Guram Bakradze
DOP: Dimitri (Dito) Dekanosidze
Cast: Giorgi Kvintradze, Natalia Jugheli, Ioseb Gvasalia, Genadi Samsonenko
Producer: Ani Kashia
Production: Videodrome (Georgia); videodrome.ge;
E-mail: contact@videodrome.ge

დანიელი (40 წლის) ჩერდება ღამის გასათევად ძველ სასტუმროში სახელად „მირაჟი“, თუმცა ზამთრის ცივი და წვიმიანი ღამე მას არაერთ სიურპრიზს უშვადებს. მის მიერ რამდენიმე დღით ადრე ტელეფონით გაკეთებული ჯავშანი არ ფიქსირდება სასტუმროს ჟურნალში, თავისუფალი ნომერი არ არის და საბოლოოდ მას ასახლებენ ნომერში, სადაც უკვე ვილაც ცხოვრობს. მოვლენები სულ უფრო უცნაურ ელფერს იძენს და დანიელი ნელ-ნელა კარგავს რეალობის შეგრძნებას. იგი ამოკითხულობს ემსგავსება და არავის ინდობს თავის გზაზე.

Daniel (40) stops to spend a night in an old hotel called “Mirage,” but the cold rainy winter night appears to have lots of surprises in store for him. The booking made by him a few days ago by phone has not been recorded in the hotel log; there are no rooms available in the hotel and he is finally given a key to the room already occupied by someone. In the midst of an increasingly strange turn of events, Daniel slowly loses the sense of reality. He seems like having gone amok, behaving disruptively or uncontrollably towards anyone he meets on his way.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



გურამ ბაქრაძე

დაიბადა 1987 წელს. 2014 წელს
დამთვრა თბილისის შოთა
რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
მხატვრული კინოს რეჟისურის
სპეციალობით.

ფილმოგრაფია:

სასტუმრო მირაჟი (2020) | მამა
(2014) | მიწა ხარ (2012) | ტრიო
(2011)

GURAM BAKRADZE

Born in 1987. In 2014 he graduated
from Shota Rustaveli State
University of Theatre and Film with
a degree in Feature Film Directing.

Filmography:

Mirage Hotel (2020) | It's All About
Blood (2014) | From Dust Were
You Made (2012) | Trio (2011)

შავი ზღვა BLACK SEA

15 60 4K | 15 MIN. 4K



**სცენარის ავტორები და
რეჟისორები:** თინათინ ემირიძე,
ხვიჩა ემირიძე
ოპერატორი: გიგა გაბრიელ
ჯობავა
მსახიობები: ნიკა თავაძე,
ნატა მურვანიძე, ანასტასია
ჭანტურაია, გენა ბერიძე
პროდიუსერები: ნინუკა ქოიავა,
მარიო პატროსინიო, ლუის
კამპოსი

აღმასრულებელი პროდიუსერი:
ანა პაულა კატარინო

წარმოება: BRO Cinema, Rua
João Saraiva 16, 3Floor, Lisboa ,
1700-051

www.brocinema.com,

ტელ: +351 21 84 90 488

info@brocinema.com

Screenplay: Tinatin Emiridze,
Khvicha Emiridze

Directors: Tinatin Emiridze,
Khvicha Emiridze

DOP: Giga Gabriel Jobava

Cast: Nika Tavadze, Nata
Murvanidze, Anastasia

Chanturaia, Gena Beridze

Producers: Ninuka Koiava, Mario
Patrocínio, Luis Campos

Executive Producer: Ana Paula
Catarino

Production: BRO Cinema, Rua
João Saraiva 16, 3Floor, Lisboa ,
1700-051

www.brocinema.com,

Tel: +351 21 84 90 488;

info@brocinema.com

შავი ზღვის სანაპიროზე
მცხოვრები ოჯახისთვის დრო
გაჩერდა. ახალგაზრდა ვაჟის
ზღვაში ტრაგიკულად დაღუპვის
შემდეგ ოჯახის წევრები
ერთმანეთს აღარ ელაპარაკებიან,
საკუთარი თავის ტყვეობაში
ექცევიან და რეალობას ვერ
ეგუებიან.

Time has stopped for a family
living in a house on the shore of
the Black Sea. The tragic death
of their young son drowned
in the sea made them stop
communicating with one another,
they are being held captive by
themselves and cannot get used
to the reality.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



თინათინ ემირიძე

დაიბადა 1995 წელს. 2019 წელს დაამთავრა ტელერეჟისურის ფაკულტეტი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად სწავლობს იმავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ტელერეჟისურის სპეციალობით.

ფილმოგრაფია:
შავი ზღვა (2020)

TINATIN EMIRIDZE

Tinatin Emiridze was born in 1995. In 2019 she graduated from Shota Rustaveli State University of Theatre and Film with a degree in Television Directing. Currently, she is doing a master's degree in Television Directing at the same University.

Filmography:
Black Sea (2020)



ხვიჩა ემირიძე


დაიბადა 1997 წელს. 2016 წელს ჩააბარა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დოკუმენტური კინოს რეჟისურის სპეციალობაზე.

ფილმოგრაფია:
შავი ზღვა (2020)

Khvicha Emiridze

Khvicha Emiridze was born in 1997. In 2016 he started studying Documentary Film Directing at Shota Rustaveli State University of Theatre and Film.

Filmography:
Black Sea (2020)



დოკუმენტური
ფილმები

DOCUMENTARY
FILMS

მზიური SUNNY

69 წთ | 69 MIN.



სცენარის ავტორი და რეჟისორი: ქეთევან მაჭავარიანი
ოპერატორი: გიორგი შველიძე
პროდიუსერები: ცისანა ხუნდაძე, ნატო სიხარულიძე
წარმოება: ტერა ინკოგნიტა ფილმსი (საქართველო)
www.tif.ge info@tif.ge
nato.sikharulidze@tif.ge
სანი ფილმსი (საქართველო)
tsisanakhundadze@gmail.com
ტელ: +995 557507576

ფილმის სათაური „მზიური“ ფილმის მთავარი გმირის სახელია და ამასთან გვახსენებს საბჭოთა საქართველოს ეპიტეტის „მზიურ საქართველოს“. მზიური ყოფილი პედაგოგია და ახლა მის საარსებო წყაროს სოციოლოგიურ კომპანიაში ინტერვიუერის ხელფასი წარმოადგენს. სამსახური მზიურისთვის მარტოობისაგან თავის დაღწევის და გარესამყაროსთან ურთიერთობის შენარჩუნების საშუალებაა. მაყურებელი მზიურისთან ერთად მოგზაურობს ვიწრო თბილისურ ეზოებსა და უმწო ბეტონის ჯუნგლებში და ასე ვეცნობით განსხვავებულ სახლებს, ბინებს და ზოგადად ადგილობრივი ცხოვრების თავისებურებებს.

Screenplay: Ketevan Machavariani
Director: Ketevan Machavariani
DOP: Giorgi Shvelidze
Producers: Tsisana Khundadze, Nato Sikharulidze
Production: Terra Incognita Films (Georgia); www.tif.ge; info@tif.ge
nato.sikharulidze@tif.ge
Sunny Films (Georgia)
tsisanakhundadze@gmail.com;
Tel: +995 557507576

The title of the film “Sunny” is also the first name of the main character of the film and besides, it reminds us of the nickname given to Soviet Georgia – Sunny Georgia. Sunny used to work as a teacher, but now she makes a living from the salary she earns working as an interviewer for a sociological company. Her job also helps her escape her loneliness and interact with the outside world. The film takes us in the narrow yards and through the ugly concrete jungles of Tbilisi, as we follow Sunny; and so we get to know different houses, apartments and the peculiarities of local life in general.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



ქეთევან მაჭავარიანი

დაიბადა 1973 წელს. 1995 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. 2002 წელს დაამთავრა თბილისის თატრისა და კინოს უნივერსიტეტი კინორეჟისორის სპეციალობით.

ფილმოგრაფია:

მზიური (2020) | მარილივით თეთრი (2011) | Love Story (2009) | შუშის ნამსხვრევი (2003) | მარიამი (2003) | მიახლოება (2002)

KETEVAN MACHAVARIANI

Born in 1973. In 1995 she graduated from Tbilisi State University department of Art. In 2002 she graduated from Tbilisi University of Theatre and Cinema as a film director.

Filmography:

Sunny (2020) | Salt White (2011) | Love Story (2009) | Fragment (2003) | Mariam (2003) | Original Zoom (2002)

გვერდი სულაბის არდადეგაში DEAD SOULS' VACATION

67 წმ HD 16:9 | 67 MIN.



სცენარის ავტორები: კეკო ჭელიძე, კოტე კალანდაძე
რეჟისორი: კეკო ჭელიძე
ოპერატორი: კოტე კალანდაძე
მსახიობები: ლევან სვანიძე, ლამარა სვანიძე, ინგა მღებრიშვილი, გია თოიძე
პროდიუსერები: ელენე მარგველაშვილი, კოტე კალანდაძე
წარმოება: პარაშუტი (საქართველო) parashutki@gmail.com

Screenplay: Keko Chelidze, Kote Kalandadze
Director: Keko Chelidze
DOP: Kote Kalandadze
Cast: Levan Svanidze, Lamara Svanidze, Inga Mghebrishvili, Gia Toidze
Producers: Elene Margvelashvili, Kote Kalandadze
Production: Parachute Films (Georgia); parashutki@gmail.com

ფილმის მთავარი გმირი 45 წლის თბილისელი მუსიკოსია. ლევანს თვითღამკვიდრების პროცესი ზედმეტად გაეწელა. ის საკუთარ სამყაროშია ჩაკეტილი და დედასთან ერთად ცხოვრობს სიღუჭირესა და სიმარტოვეში. მიუხედავად ყველაფრისა ლევანი ოპტიმისტია. ის არ ვარდება სასოწარკვეთაში, ცდილობს დამოუკიდებლად დაძლიოს ყოველდღიური პრობლემები, აიწყოს პირადი ცხოვრება და მიაღწიოს წარმატებას.

Formerly a famous musician in Georgia, Levan (45) is now longforgotten by everyone. He lives with his mother (84) in the hardship and loneliness. Despite everything Levan is optimistic. He does not fall into despair, tries to overcome his routine problems, build a personal life and achieve success.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



კეკო ჭელიძე

დაიბადა 1983 წელს. 2003 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელეერეჟისურის ფაკულტეტი.

ფილმოგრაფია:

ალარ შემოიძლია (წარმ.) | მკვდარი სულების არდადეგები (2020) | ძალზე უკეთესი (2016)

KEKO CHELIDZE

Keko Chelidze was born in 1983. In 2003 she graduated from Tbilisi State University with a degree in Film and Television Directing.

Filmography:

No More (in prod.) | Dead Souls' Vacation (2020) | Better Than Dog (2016)

მოთვინიერება TAMING THE GARDEN

93 წმ HD 16:9 | 93 MIN.




სცენარის ავტორი და რეჟისორი:
სალომე ჯაში
ოპერატორები: გოგა დევდარიანი,
სალომე ჯაში
პროდიუსერები: ვადიმ
იენდრეიკო, სალომე ჯაში, ერიკ
ვინკერი
წარმოება: მირა ფილმი
(გერმანია) info@mirafilm.ch
www.mirafilm.ch
საქდოკ ფილმი (საქართველო)
info@sakdoc.ge www.sakdoc.ge
www.salomejashi.com
კოსრო ფილმი (გერმანია)
T +49 221 205 33 700
F +49 221 205 33 70)

Screenplay: Salomé Jashi
Director: Salomé Jashi
DOP: Goga Devdariani, Salomé Jashi
Producers: Vadim Jendreyko,
Salomé Jashi, Erik Winker
Production: Mira Film (Germany)
E-mail: info@mirafilm.ch
www.mirafilm.ch;
Sakdoc Film (Georgia)
info@sakdoc.ge
www.sakdoc.ge
www.salomejashi.com
CORSO Film (Germany)
Tel: +49 221 205 33 700
Fax: +49 221 205 33 70

საქართველოს უმდიდრეს და
წარსულში დიდი პოლიტიკური
ძალაუფლების მქონე ადამიანს
უნვეულო ჰობი აქვს: ულამაზეს
საუკუნივან ხეებს აგროვებს
ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში
და ხელოვნურად გაშენებულ
დენდროლოგიურ პარკში
გადააქვს. ხეების მიგრაციის
მომაჯადოებელი კადრების
ფონზე ადამიანის მიერ ბუნების
„მოთვინიერების“ თემა და
არაერთი სხვა უნივერსალური
პრობლემა იკვეთება.

The richest man in Georgia and
the one with a great political
influence in the past has a weird
hobby: he collects beautiful
centuries-old trees from different
regions of the country and
moves them to a specially built
Dendrological park. Against
the background of the thrilling
scenes of tree migration, the
theme of human "taming" nature
and a number of other universal
problems emerge.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



სალომე ჯაში

ჟურნალისტის კვალიფიკაციის მიღების შემდეგ იგი სწავლობდა დოკუმენტალისტიკას ლონდონის უნივერსიტეტში, როიალ ჰოლოუ-ეიში. საქდოკ ფილმის ერთ-ერთი დამფუძნებელია და კურატორია პროგრამისა CAUCADOC, რომელსაც საქდოკ ფილმი სამხრეთ კავკასიაში დოკუმენტური კინოს განვითარების მიზნით ახორციელებს.

ფილმოგრაფია:

მოთვინიერება (2020) | დაისის მიზიდულობა (2016) | ცურვა (2012) | ბახმარო (2011) | ლიდერი ყოველთვის მართალია (2010) | დადუმებულები (2009) | მათი ვერტმფრენი (2006)

SALOME JASHI

After receiving journalist's qualification, he studied documentary making in London University, Royal Holloway. She is one of the founders of SAKDOC and the curator of CAUCADOC program, which is carried out by SAKDOC in order to support the development of documentaries in Southern Caucasus.

Filmography:

Taming the Garden (2020) | The Dazzling Light of Sunset (2016) | A Swim (2012) | Bakhmaro (2011) | Leader Is Always Right (2010) | The Silenced (2009) | Their Helicopter (2006)

ოზიმანდიასი OZYMANDIAS

61 წმ | 61 MIN.



სცენარის ავტორი და რეჟისორი:
მიშო ანთაძე

ოპერატორი: ალექსანდერ გირავი

პროდიუსერი: გიორგი ქობალია

წარმოება: ტერა ინკოგნიტა

ფილმსი (საქართველო)

www.tif.ge info@tif.ge giorgi.kobalia@tif.ge

Screenplay: Misho Antadze

Director: Misho Antadze

DOP: Alexander Girav

Producer: Giorgi Kobalia

Production: Terra Incognita Films
(Georgia);

www.tif.ge; E-mail: info@tif.ge;

giorgi.kobalia@tif.ge

სტალინის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ, საქართველოს ტერიტორია სავსეა ბელადის ქანდაკებებით. წარსულისა და აწმყოს ყოველდღიურ გეოპოლიტიკაზე დაკვირვებითა და ყურის დაგდებით, ოზიმანდიასი ისტორიის უხილავ ძალებთან დაპირისპირების მცდელობას წარმოადგენს.

70 years after his death, statues of Stalin are scattered throughout the territory of Georgia. Through spying on and eavesdropping to the daily geopolitics of the past and the present, Ozymandias is an invisible force of history or an attempt at confrontation.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



მიშო ანთაძე

დაიბადა 1993 წელს თბილისში.
დაამთავრა კალიფორნიის
ხელოვნების ინსტიტუტის
(CalArts, ლოს-ანჯელესი) კინო-
ვიდეოფაკულტეტი.

ფილმოგრაფია:

ოზიმანდიასი (2020) | მოსავალი
(2019) | მარიაჩი პლაზა (2018) |
ამხანაგი გელოვანის მრავალი
სახე (2014)

MISHO ANTADZE

Born in 1993 in Tbilisi, Georgia.
Misho Antadze graduated from
the California Institute of the Arts
(CalArts, Los Angeles) with a
degree in Film and Video.

Filmography:

Ozymandias (2020) | The
Harvest (2019) | Mariachi Plaza
(2018) | The Many Faces of
Comrade Gelovani (2014)

პავილიონი PAVILLON

74 60 | 74 MIN.



სცენარის ავტორები: მარიტა თევზაძე, ანა ჯეგნარაძე
რეჟისორები: მარიტა თევზაძე, ანა ჯეგნარაძე
ოპერატორები: მარიტა თევზაძე, ანა ჯეგნარაძე
პროდუსერი: ანა ჯეგნარაძე
წარმოება: ნამიმეტრი (საქართველო)
namimeter@gmail.com

Screenplay: Marita Tevzadze, Ana Jegnaradze
Directors: Marita Tevzadze, Ana Jegnaradze
DOP: Marita Tevzadze, Ana Jegnaradze
Producer: Ana Jegnaradze
Production: Namimeter (Georgia)
namimeter@gmail.com

როგორ იცვლიან სახეს ადამიანი და მასთან დიდი იმედებით დაკავშირებული ისტორიული შენობა სეზონების მიხედვით. რამდენად მყარია მესხიერება და რას შეუძლია თავი გადაირჩინოს, როცა ღამდება და ქალაქის ცაზე კოსმოსური ხომალდებივით დაცურავენ შუშის სასტუმროები. სადაც ორი დიდტანიანი ძაღლი და ერთი ემოციური კატა დაეხეტებიან. სადაც ზამთრის სუსხისაგან ყვითელი კიმონო გიცავს. რომელი ღრიჭობიდან მოიპარებიან ხოლმე ჩრდილები?

What changes do a person and an old building – a palace of hope – undergo over seasons? How fond memories can be and what can survive, when it's getting dark and glass hotels like spacecraft start floating in the twilight? In the streets where two huge stray dogs and an emotional cat are wandering around? Where a yellow kimono is the only clothing which protects you from winter frost. Which wall cracks do ghosts sneak in from?

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



ანა ჯეგნარაძე

დაიბადა 1986 წელს. დაამთავრა ფილოსოფიისა (ბაკალავრიატი) და ანთროპოლოგიის (მაგისტრატურა) ფაკულტეტი.

ფილმოგრაფია:
პავილიონი (2020)

ANA JEGNARADZE

Ana Jegnaradze was born in 1986. She has a Bachelor's degree in Philosophy and a Master's degree in Anthropology.

Filmography:
Pavillon (2020)



მარიტა თევზაძე

დაიბადა 1988 წელს. ბაკალავრის ხარისხი მიიღო ჟურნალისტიკაში, შემდეგ კი მიიღო მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის ანთროპოლოგიაში.

ფილმოგრაფია:
პავილიონი (2020)

MARITA TEVZADZE

Marita Tevzadze was born in 1988. She has a Bachelor's degree in journalism and a Master's degree in Political anthropology.

Filmography:
Pavillon (2020)

წითელი ბარონი – მიხაელ შუმახერი MICHAEL SCHUMACHER: THE RED BARON

52 60 | 52 MIN.



სცენარის ავტორები:

მაია ბურდული, დიმიტრი
თავგორაშვილი, დავით
თავართქიალძე

რეჟისორები: მაია ბურდული,
ანტონ ჩეხი (საფრანგეთი)

ოპერატორები: ზვირა ჭუმბაძე,
ნუგზარ ცომაია

პროდიუსერი: დიმიტრი
რამიშვილი

წარმოება: მხარდამჭერი კომპა-
ნია სს „სილქნეტი“
www.silknet.com,
+995 32 210 00 00

ყველა დროის საუკეთესო პილოტი
მიხაელ შუმახერი თავის მფარველ
ანგელოზთან ზავს დებს. მთელი
მსოფლიო გაფაციცებით ადევნებს
თვალს ამ ალიანსს. შუმახერს
საქართველოშიც უამრავი
ფანი ჰყავს და ბევრისთვის ის
შეუპოვრობის საოცარი მაგალითია.

Screenplay: Maia Burduli, Dimitri
Tavgorashvili, Davit Tavartkiladze

Directors: Maia Burduli, Anton
Chekh (France)

DOP: Khvicha Tchumbadze,
Nugzar Tsomaia

Producer: Dimitri Ramishvili

Production: Supporting company
“Silknet”

www.silknet.com;

+995 32 210 00 00

The Formula One's greatest pilot
of all time – Michael Schumacher
concludes a deal with his guardian
angel. The whole world keeps
a weather eye on this alliance.
Michael Schumacher has a lot
of fans in Georgia as well and
many people get inspired by the
example of the sportsman trying to
win a race against death. Michael
Schumacher is an inspiration and a
wonderful example of resilience for
people suffering from painful despair
and a lack of hope.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



ანტონ ჩეხი

დაიბადა 1971 წელს პარიზში, საფრანგეთში. 2004 წელს დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი, 2009 წელს – მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი.

ფილმოგრაფია:

წითელი ბარონი – მისივე
შუმახერი (2020)

ANTON CHEKH

Anton Chekh was born in Paris, France, on 24 September 1971. In 2004 he graduated from Sorbonne University. In 2009 he graduated from the Russian State University of Cinematography (VGIK).

Filmography:

Michael Schumacher: The Red Baron (2020)



მაია ბურდული

დაიბადა 1965 წელს. დაამთავრა საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინორეჟისურის ფაკულტეტი.

MAIA BURDULI

Born in 1965. She graduated from the Faculty of Acting of the Georgian University of Theatre and Film and the Faculty of TV and Film Direction of Tbilisi State University.

ფილმოგრაფია:

წითელი ბარონი – მისივე შუმახერი (2020) | წმინდა ნინო – ქართველთა განმანათლებელი (2019) | მადი (2015) | დიდი რეპეტიცია „სოფიკო“ (2009) | 6 + 6 = სიყვარულს (2008,) | უცხო სიყვარული (2007) | სახლი (2006) | 1937 (2005) | ბატონიშვილი (2004) | SOS (2003) | ყვავილები ჰოლანდიიდან (2003) | მზატვარი (2002) | წყურვილი (2002) | იერუსალიმი ქრისტეშობიდან 2000 წლის შემდეგ (1998) | რეჟისორი რობერტ სტურუა (1996) | გილოცავთ ახალ წელს (1993)

Filmography:

Michael Schumacher: The Red Baron (2020) | St. Nino, the Enlightener of Georgia (2019) | Madi (2015) | Big Rehearsal „Sopiko“ (2009) | N + N = Love (2008) | Wordless Love (2007) | House (2006,) | 1937 (2005) | Successor (2004) | SOS (2003) | Flowers from Holland (2003) | Artist (2002) | Thirst (2002) | Temple of the Vivifying Cross in Jerusalem (1998) | Director Robert Sturua (1996) | Happy New Year (1993)

ხელოსანი თუ ხელოვანი ARTISAN OR ARTIST

77 60 FULL HD | 77 MIN. FULL HD



სცენარის ავტორი და რეჟისორი:

გიორგი ცხვედიანი

ოპერატორები: კახაბერ ბუხრაშვილი,
გიორგი სიგუა

მსახიობები: გიორგი ფხალაძე, ანა სუ-
ხიშვილი, ნინო ბაშარული, ზაზა მარ-
ჯანიშვილი, გიორგი მელიქიშვილი,
ზაზა მიმინოშვილი, ნიკუშა ფხალაძე,
ვაჟა კალანდაძე, ირინა მანია, გიგი
გილიგაშვილი

პროდიუსერი: ნიკოლოზ აბრამიშვილი
წარმოება: შპს ახალი ქართული
ფილმი.

+995555000002,

newgeofilm@yahoo.com

Screenplay: Giorgi Tskhvediani

Director: Giorgi Tskhvediani

DOP: Kakhaber Bukhrashvili, Giorgi
Sigua

Cast: Giorgi Pkhaladze, Anna
Sukhishvili, Nino Basharuli, Zaza
Marjanishvili, Giorgi Melikishvili,
Zaza Miminoshvili, Nikusha
Pkhaladze, Vazha Kalandadze,

Irina Mania, Gigi Giligashvili

Producer: Nikoloz Abramishvili

Production: New Georgian Film LLC
+995 555 000002;

newgeofilm@yahoo.com

ფილმის გმირი, 37 წლის გიტარისტი
გიორგი ფხალაძე თავადვე ამზადებს
სხვადასხვა სახის მუსიკალურ
ინსტრუმენტებს. მის ცხოვრებაში
ეს ორი პროფესია დიდი ხანია,
ერთმანეთის პარალელურად არსებობს.
ადრე ის უფრო მეტად მუსიკოსი იყო,
ვიდრე ხელოსანი. ამას მტივინეულად
განიცდის მისი მევიოლინე მეუღლე
და გიორგის, როგორც გიტარისტის
გადარჩენას ცდილობს. გიორგი ძალზე
ბევრს ურობობს, მაგრამ მაინც მცირე
შემოსავალი აქვს. ერთდღერთი გზა,
მოავაროს ფინანსური პრობლემები
და, რაც მთავარია, გაიკეთოს ოპერაცია
თითებზე, მამის კუთვნილი ფართის
გაყიდვა.

The main character of the film 'Artisan
or Artist' is a 37-year-old guitarist Giorgi
Pkhaladze, who also makes various
musical instruments. He has holding
down the two jobs simultaneously for
a long time. Previously, he was more of
a musician than a craftsman. But now
he is more concentrated on making
musical instruments, which is a matter
of deep concern to his wife, who is a
violinist and who is doing her best to
help his husband – Giorgi – to survive as
a guitarist. Giorgi works hard but he does
not earn much. The only way to solve his
financial problems and, most importantly,
have his fingers operated is to sell his
father's property.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



გიორგი ცხვედიანი

დაიბადა 1975 წელს. 1996 წელს დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი, 2002 წელს – საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი კინოსარეჟისორო კურსები (რეზო ესაძის სახელობით).

ფილმოგრაფია:

ხელოსანი თუ ხელოვანი (2020) | ნიკოს გზა (2015) | ნაძვის ხის ისტორია (2009) | მე არა ვარ მარტო (2005) | ბრძანება (2001) | ბრძანება (1998).

GIORGI TSKHVEDIANI

Born in 1975. In 1996 he graduated from Ivane Javakhishvili Tbilisi State University with a degree in Engineering and Economics. In 2002 he graduated from Shota Rustaveli State University of Theatre and Film with a degree in Film Directing (Rezo Esadze's Studio).

Filmography:

Artisan or Artist (2020) | Niko's Way (2015) | The Story of Christmas Tree (2009) | I Am Not Alone (2005) | Order (2001) | Order (1998)



ანიმაციური
ფილმები
ANIMATED FILMS

მამა THE FATHER

12 წთ | 12 MIN.




სცენარის ავტორი: ზურაბ დიასამიძე
რეჟისორი: არჩილ კუხიანიძე
პროდიუსერები: ანი გეჯაძე, ზურაბ დიასამიძე
წარმოება: ა(ა)იპ ანიმაციის განვითარების ფონდი
www.adf.ge, 577 048 500, agejadze@gmail.com

Screenplay: Zurab Diasamidze
Director: Archil Kukhianidze
Producers: Ani Gejadze, Zurab Diasamidze
Production: Animation Development Fund N(N)LE.
www.adf.ge, Tel.: 577 048 500, agejadze@gmail.com

ომს გადარჩენილი, უსახლკაროდ დარჩენილი მამა და მისი 9 წლის გოგონა ზღვის სანაპიროზე ჩამოგდებულ სამხედრო თვითმფრინავს აფარებენ თავს. ოჯახის გამოკვების ერთადერთი საშუალება ზღვაში გასვლა და თევზის ქერაა, რისი კეთებაც მამას მარტოს უწევს, თუმცა მას, ზღვაში მარტო გასვლაზე მეტად, გოგონას სახლში ეულად დატოვება უმძიმს.

A war survivor, a homeless father and his 9-year-old daughter are sheltered in a military plane crashed on the seashore. The only way to feed her daughter is to get to the open sea and catch some fish, which the father has to do all alone, but it is harder for him to leave his daughter alone than to get to the open sea alone.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



არჩილ კუხიანიძე

დაიბადა 1988 წელს. დაამთვრა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია – სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი.

ფილმოგრაფია:

მამა (2020) | სიმართლის გუდა (2017) | არაფერია ცის ქვეშ ახალი (2016) | გვანცი (2015) | ჩოკინა (2012) | ბუკნაჭო (2012) | წყალქვეშეთი (2011) | ნაძვის ბაბუ (2011) | თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა (2011) | რატომ აქვს კუს დაბზარული ბაკანი (2010) | ნატვრის ხე (2009)

ARCHIL KUKHIANIDZE

Born in 1988. He graduated from Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Arts with a degree in Fine Arts.

Filmography:

The Father (2020) | A Bag Full of Truth (2017) | Nothing Is New under the Sky (2016) | Gvantsi (2015) | A Little Donkey (2012) | Buknacho (2012) | Underwater World (2011) | White Flower and White Butterfly (2011) | Why Does a Turtle Have a Cracked Shell (2010) | The Wish Tree (2009)

მიტოვებული სოფელი ABANDONED VILLAGE

12 60 HD, 2D | 12 MIN. HD, 2D



სცენარის ავტორი: მარიამ კაპანაძე

რეჟისორი: მარიამ კაპანაძე

პროდიუსერი: ცოტნე კალანდაძე

წარმოება: სტუდია კვალი XXI;

fb.com/Film-Studio-KVALI-XXI;

+995 599 084069

kvalixxi@gmail.com

Screenplay: Mariam Kapanadze

Director: Mariam Kapanadze

Producer: Tsotne Kalandadze

Production: Film Studio Kvali XXI;

fb.com/Film-Studio-KVALI-XXI;

+995 599 084069

kvalixxi@gmail.com

სოფელი, როგორც ადამიანი, სიყვარულის შედეგად ჩნდება.

სოფელი, როგორც ადამიანი, უსიყვარულოდ დარჩენილი ნანგრევებად იქცევა.

A village just like a human is a result of love and can be reduced to rubble, if left without love and care.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



მარიამ კაპანაძე

დაიბადა 1991 წელს. 2012 წელს დაამთავრა მასმედიისა და მედია-კომუნიკაციების საერთაშორისო უნივერსიტეტის (Maski) ხელოვნების ფაკულტეტი კინორეჟისორის სპეციალობით.

ფილმოგრაფია:

მიტოვებული სოფელი (2020) |
მეგობრობის აღთქმა (2012) | უკვე
გნახე (2011)

MARIAM KAPANADZE

Born in 1991. In 2012 Graduated from the faculty of fine arts of the Maski University with a degree in Film Directing.

Filmography:

Abandoned Village (2020) |
Friendship (2012) | I have already
Seen You (2011)

ყაპი CROW

12 წთ | 12 MIN.



GNFC

სცენარის ავტორები: ნიკოლოზ მდივანი, სანდრო ქათამაშვილი
რეჟისორი: სანდრო ქათამაშვილი
პროდიუსერი: ვლადიმერ კაჭარავა
წარმოება: 20 Steps Productions;
+995 32 2520945
+995 591 22 73 77
info@20steps.ge

Screenplay: Nikoloz Mdivani,
Sandro Katamashvili
Director: Sandro Katamashvili
Producer: Vladimer Kacharava
Production: 20 Steps
Productions;
+995 32 2520945;
+995 591 22 73 77;
info@20steps.ge

ერთ დღეს ფრთამოტეხილი ყვავი
ბინას დაიდებს საფრთხივლად,
პატარა ეკლესიის მახლობლად.

One day a crow with a broken
wing finds its nestling place in a
scarecrow standing near a small
church.

რეჟისორის ბიოგრაფია | DIRECTOR'S BIO



სანდრო ქათამაშვილი

დაიბადა 1987 წელს. 2008 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (მხატვრული ანიმაციის განხრით).

ფილმოგრაფია:

ყვავი (2020) | ბებო (2013) | თევზი სახელად გვიღო (2012)

SANDRO KATAMASHVILI

Born in 1987. In 2008 graduated from Tbilisi State University of Art as Animation director.

Filmography:

Crow (2020) | Grandma (2013) | The Fish Named Gvido (2012)



ფილმები
წარმოების
პროცესში

FILMS
IN PRODUCTION

აღარ ზამიქლია NO MORE

80 60 4K | 80 MIN. 4 K



